ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, მისო აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, მისო განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს მისოს აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. მისოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

მისო წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და

- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არა ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულები და სასესხო ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმომოხილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის მისოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ მისო შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

მისოს ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია მისოს ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306	3.5349
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753	3.4228

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	5%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების

**სს მისო „ჯი-აი-სი“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში**

ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდით, გამოყენებით 15%-იანი ამორტიზაციის ნორმით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

მისო არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მისო-ს მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული მისო-ს. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 20 წელს შეადგენს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა ასახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ მისოს აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დამატებითი ხარჯები, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, ასახება კაპიტალში უარყოფითი ნიშნით, გადასახადების გამოკლებით. დადებითი სხვაობა გამოშვებული აქციის სანაცვლოდ მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მენეჯმენტის მიერ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას მოახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. კომპანიის მენეჯმენტმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების განსაზღვრისთვის გამოიყენა შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ფასს 9-ის მიხედვით კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მოითხოვს განსჯას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფილი ქონების ღირებულების ოდენობის და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას.

ეს შეფასებები განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს რეზერვების სხვადასხვა დონე. კომპანიის რეზერვები გამოთვლება კომპლექსური მოდელების გამოყენების შედეგად, რომელსაც აქვს მრავალი ძირითადი დაშვება შესაყვანი ცვლადის არჩევანთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებებთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი ასევე მოიცავს სააღრიცხვო შეფასებებსა და დაშვებებს:

- კომპანიის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, იყო თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და, შესაბამისად, ფინანსური აქტივების რეზერვები უნდა შეფასდეს LTECL - ის და ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე.
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როდესაც მათი ECL ფასდება კოლექტიურ საფუძველზე;
- ECL მოდელების შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულები და შესაყვანი ცვლადების არჩევა. მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა (CPI ინდექსი, მონიტორინგის პოლიტიკის განაკვეთი და მშპ-ის ზრდა) და მათი ალბათობის შეწონვა ECL-ის მოდელებში ეკონომიკური ცვლადების გამოსაყენებლად.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვეთისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიჯარო ვადა

საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში.

მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ზღვრული სასესხო განაკვეთის დამატებითი სესხის პროცენტის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

4. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	735,960	810,168
საპროცენტო შემოსავალი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებით	58,699	61,780
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკში განთავსებული ანგარიშებიდან	6,140	6,131
სულ საპროცენტო შემოსავლები	800,799	878,079
საპროცენტო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(13,490)	(14,739)
სულ საპროცენტო ხარჯები	(13,490)	(14,739)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	787,309	863,340

შემნახველ ანგარიშს ლარში ერიცხება წლიური 2%, ხოლო დოლარში წლიური 0.5%-დან 1 %-მდე. დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი არის ცვლადი.

საშუალო საპროცენტო განაკვეთი გაცემულ სესხებზე ლარში არის 12%-34% და დოლარში 27%-28%

5. წმინდა საკომისიო შემოსავლები

	2024	2023
საკომისიო შემოსავლები		
საკომისიო შემოსავლები	65,219	80,527
სულ საკომისიო შემოსავლები	65,219	80,527
საკომისიო ხარჯები		
საკომისიო ხარჯები	(61,971)	(61,225)
სულ საკომისიო ხარჯები	(61,971)	(61,225)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	3,248	19,302

მისოს პოლიტიკის შესაბამისად მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხის გაცემის საკომისიო, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია ხელშეკრულებით, საკომისიო შემოსავალი მოიცავს სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახადს, რომელიც გამოიანგარიშება ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტისა და პრინციპების შესაბამისად და მიიღება სესხის გაცემის დროს.

საკომისიო ხარჯი მოიცავს საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯებს, როგორც არის მონაცემთა ბაზის გამოყენების საფასური, მსესხებლებისთვის ინფორმაციის მოძიების საფასური.

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი	480,800	482,518
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	23,000	23,000
ცვეთა და ამორტიზაცია	26,876	23,103
საგადასახადო ხარჯი	3,636	2,486
სხვა საოპერაციო ხარჯები	7,179	16,825
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	8,694	8,694
კომუნალური	6,325	7,294
საკონსულტაციო ხარჯი	1,338	1,258
სულ საოპერაციო ხარჯები	557,848	565,178

7. წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტები	2,981	(4,460)
გაცემული სესხები	431	(904)
სხვა ვალდებულებები	(54)	38
წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	3,358	(5,326)

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ ჯარიმები	143,529	140,858
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	33,487	38,011
სულ სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	177,016	178,869

ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული ჯარიმები სრულად იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში.

9. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024	2023
მიმდინარე მოგების გადასახადი	(72,874)	(62,962)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი	(5,025)	10,688
სულ მოგების გადასახადი	(77,899)	(52,274)

საგადასახადო ხარჯის შეჯერება

	2024	2023
წლის სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	557,403	403,218
კორპორაციის გადასახადის 15% განაკვეთით	(83,610)	(60,483)
კორექტირებები:		
მუდმივი სხვაობა	10,736	(2,479)
დროებითი სხვაობა	(5,025)	10,688
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(77,899)	(52,274)

10. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ღირებულება					

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

1 იანვარი 2023	98,398	10,277	7,864	23,246	139,785
შესყიდვები	-	10,160	-	-	10,160
გაყიდვები	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	98,398	20,437	7,864	23,246	149,945
შესყიდვები	-	1,211	-	2,240	3,451
გაყიდვები	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	98,398	21,648	7,864	25,486	153,396
ცვეთა					
1 იანვარი 2023	(83,417)	(10,077)	(7,306)	(18,713)	(119,513)
ცვეთა წლის განმავლობაში	(5,028)	(117)	(214)	(438)	(5,797)
31 დეკემბერი 2023	(88,445)	(10,194)	(7,520)	(19,151)	(125,310)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,265)	(95)	(171)	(821)	(5,352)
31 დეკემბერი 2024	(92,710)	(10,289)	(7,691)	(19,972)	(130,662)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2023	14,981	200	558	4,533	20,272
31 დეკემბერი 2023	9,953	10,243	344	4,095	24,635
31 დეკემბერი 2024	5,688	11,359	173	5,514	22,734

ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული, როგორც უზრუნველყოფა.

11. აქტივის გამოყენების უფლება

	ოფისის იჯარა	სულ
აქტივის გამოყენების უფლება		
1 იანვარი 2023	173,872	173,872
დამატება	-	-
31 დეკემბერი 2023	173,872	173,872
დამატება	-	-
31 დეკემბერი 2024	173,872	173,872
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2023	(104,328)	(104,328)
დარიცხული ცვეთა	(8,694)	(8,694)
31 დეკემბერი 2023	(113,022)	(113,022)
დარიცხული ცვეთა	(8,694)	(8,694)
31 დეკემბერი 2024	(121,716)	(121,716)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2023	69,544	69,544
31 დეკემბერი 2023	60,850	60,850
31 დეკემბერი 2024	52,156	52,156

აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს კომპანიის საოფისე ფართს. საიჯარო ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია 20 წელი.

12. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
ღირებულება			
1 იანვარი 2023	38,769	66,140	104,909
შესყიდვები	-	220,255	220,255
გაყიდვები	(38,769)	-	(38,769)
31 დეკემბერი 2023	-	286,395	286,395
შესყიდვები	-	93,920	93,920
გაყიდვები	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	380,315	380,315
ცვეთა			
1 იანვარი 2023	-	(66,140)	(66,140)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(6,466)	(6,466)
31 დეკემბერი 2023	-	(72,606)	(72,606)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(11,057)	(11,057)
31 დეკემბერი 2024	-	(83,663)	(83,663)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2023	38,769	-	38,769
31 დეკემბერი 2023	-	213,789	213,789
31 დეკემბერი 2024	-	296,652	296,652

მისო საინვესტიციო ქონებიდან არ გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს, ის მიიჩნევა კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად. წარმოდგენილი ქონება მისოს საკუთრებაში გადაეცემა იმ სესხებიდან რომელიც გირაოს სახით იყო უზრუნველყოფილი გაცემული სესხებისთვის.

შენობები მოიცავს საცხოვრებელ ბინებს ქალაქ თბილისში შემდეგ მისამართებზე: ზღვისუბნის დასახლება, მოსკოვის გამზირი, ვარკეთილის მე-2 მ/რ. და საცხოვრებელი ბინა ვაჟა ფშაველას გამზირზე

13. არამატერიალური აქტივი

	კომპიუტერული პროგრამები	სულ
ღირებულება		
1 იანვარი 2023	148,891	148,891
შეძენა	5,020	5,020
31 დეკემბერი 2023	153,911	153,911
შეძენა	5,706	5,706
31 დეკემბერი 2024	159,617	159,617
ცვეთა		
1 იანვარი 2023	(109,755)	(109,755)
ცვეთა წლის განმავლობაში	(10,840)	(10,840)
31 დეკემბერი 2023	(120,595)	(120,595)
ცვეთა წლის განმავლობაში	(10,467)	(10,467)
31 დეკემბერი 2024	(131,062)	(131,062)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2023	39,136	39,136
31 დეკემბერი 2023	33,316	33,316
31 დეკემბერი 2024	28,555	28,555

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მისოს არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის „ალტას“ და ანტივირუსული პროგრამის ლიცენზიებს. კომპანიას არ აქვს დაგირავებული არამატერიალური აქტივები.

14. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	2,916,319	3,376,113
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - არაუზრუნველყოფილი სესხები	180,088	67,257
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - უზრუნველყოფილი სესხები	198,481	208,778
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - არაუზრუნველყოფილი სესხები	91,955	100,157
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	(711,776)	(858,365)
სულ გაცემული სესხები	2,675,067	2,893,940

გაცემული სესხების კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კატეგორია 1 -ვაჭრობა და მომსახურება	681,648	853,089
კატეგორია 2 - სამომხმარებლო	1,864,622	2,097,073
კატეგორია 7 - უძრავი ქონების შეძენა	22,267	34,575
კატეგორია 8 - რეფინანსირება	817,120	763,695
კატეგორია 9 - პირადი ხარჯები	1,186	2,007
კატეგორია 10 - სხვა	-	1,866
სულ გაცემული სესხები	3,386,843	3,752,305
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(711,776)	(858,365)
წმინდა სესხები	2,675,067	2,893,940

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სესხების რეზერვის გაუფასურების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	73,681	485,789	298,895	858,365
ახალი სესხები	65,620	105,842	-	171,462
წინა პერიოდში გაცემული სესხების რეზერვში ცვლილება	(19,280)	(102,697)	85,418	(36,559)
გადატანა I ეტაპში	51,572	129,076	(180,648)	-
გადატანა II ეტაპში	(1,840)	37,618	(35,778)	-
გადატანა III ეტაპში	(18,372)	(97,758)	116,130	-
დაფარული სესხები	(38,335)	(155,002)	(88,155)	(281,492)
ნაშთი წლის ბოლოს	113,046	402,868	195,862	711,776

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გაუფასურებაში ცვლილებები შემდეგნაირად გამოიყურება:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	87,239	577,097	65,445	729,781
ახალი სესხები	40,972	62,475	-	103,447
წინა პერიოდში გაცემული სესხების რეზერვში ცვლილება	5,646	175,939	169,657	351,242
გადატანა I ეტაპში	367	(367)	-	-
გადატანა II ეტაპში	(13,461)	13,461	-	-
გადატანა III ეტაპში	-	(118,035)	118,035	-

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

დაფარული სესხები	(47,082)	(224,781)	(54,242)	(326,105)
ნაშთი წლის ბოლოს	73,681	485,789	298,895	858,365

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულებების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	1,853,949	1,532,087	366,269	3,752,305
ახალი სესხები	1,119,018	366,182	-	1,485,200
წინა პერიოდში გაცემულ სესხებში ცვლილება	(52,600)	(135,019)	4,158	(183,461)
გადატანა I ეტაპში	63,053	(43,297)	(19,756)	-
გადატანა II ეტაპში	(11,115)	126,524	(115,409)	-
გადატანა III ეტაპში	(62,861)	(97,758)	160,619	-
ჩამოწერილი და დაფარული სესხები წლის განმავლობაში	(980,873)	(530,799)	(155,529)	(1,667,201)
ნაშთი წლის ბოლოს	1,928,571	1,217,920	240,352	3,386,843

მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	1,796,187	1,897,872	112,818	3,806,877
ახალი სესხები	1,016,460	149,268	-	1,165,728
წინა პერიოდში გაცემულ სესხებში ცვლილება	310,479	410,939	207,237	928,655
გადატანა I ეტაპში	9,514	(9,514)	-	-
გადატანა II ეტაპში	(75,058)	75,058	-	-
გადატანა III ეტაპში	-	(118,035)	118,035	-
ჩამოწერილი და დაფარული სესხები წლის განმავლობაში	(1,203,633)	(873,501)	(71,821)	(2,148,955)
ნაშთი წლის ბოლოს	1,853,949	1,532,087	366,269	3,752,305

კურსთაშორის სხვაობის გავლენა გაცემულ სესხებზე იხილეთ შენიშვნა 7-ში.

სესხების ჩაშლა უზრუნველყოფის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
უპრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,114,800	92%	3,584,891	96%
საბლანკო სესხები	272,043	8%	167,414	4%
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	3,386,843	100%	3,752,305	100%

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში	740,148	16,135
მოთხოვნამდე ანაბარი	37,234	387,538
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	777,382	403,673

საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალი დეპოზიტებიდან შეადგენს 6,140 ლარს (2023: 6,131 ლარი).

კურსთაშორის სხვაობის ცვლილება ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე იხილეთ შენიშვნა 7-ში.

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

16. გადავადებულის მოგების გადასახადი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადავადებული საგადასახადო აქტივი	17,818	19,252
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(11,749)	(8,158)
წმინდა ბალანსი	6,069	11,094

17. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დებიტორული დავალიანება	1,250	7,994
გადახდილი ავანსები	14,413	11,966
სულ სხვა აქტივები	15,663	19,960

18. სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება 24,971 ცალი აქციისგან, რომლის ერთეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100 ლარს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალის ნომინალური ღირებულება შეადგენს 2,497,100 ლარს.

აქციების რაოდენობა წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	ნომინალური ღირებულება	სულ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,971	24,971	100	2,497,100
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,971	24,971	100	2,497,100

პერიოდის განმავლობაში მისომ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 337,044 ლარის ოდენობით (2023: 516,351 ლარი).

დივიდენდები გაცემულია უფლებამოსილ პიროვნებაზე, აქციონერების მიერ ხელმოწერილი მინდობილობის საფუძველზე.

19. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	88,500	100,424
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	11,924	10,510
სულ საიჯარო ვალდებულებები	100,424	110,934

საიჯარო ვალდებულებების დეტალური მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

ბალანსი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	120,194
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(24,000)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	14,739
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,934
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(24,000)
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	13,490
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,424

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მიკროსაფინანსოს იჯარით აქვს საოფისე ფართი, იჯარის ვადის სავარაუდო დრო ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 წელია, ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის მარტს.

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. მისომ ზღვრულ სასესხო განაკვეთის დასადგენად რომელიც შეადგენს 12.7%-ს, გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია 2011-2019 წლებში.

საიჯარო ვალდებულების ვადის ანალიზი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 წელზე ნაკლები	11,924	10,510
1-დან 5 წლამდე	88,500	89,914
5 წელზე მეტი	-	10,510
სულ	100,424	110,934

21. პირობითი ვალდებულებები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს პირობითი ვალდებულებები.

22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, მისომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს. სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

	2024			
	სამართლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
	1 დონე	2 დონე	3 დონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	777,382	-	-	777,382
გაცემული სესხები	-	-	2,675,067	2,675,067
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	1,250	1,250
სულ ფინანსური აქტივები	777,382	-	2,676,317	3,453,699
ფინანსური ვალდებულებები				
სალიზინგო ვალდებულებები	-	-	100,424	100,424
სხვა ვალდებულებები	-	-	86,664	86,664
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	187,088	187,088

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	2023			
	სამართლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
	1 დონე	2 დონე	3 დონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	403,673	-	-	403,673
გაცემული სესხები	-	-	2,893,940	2,893,940
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	7,994	7,994
სულ ფინანსური აქტივები	403,673	-	2,901,934	3,305,607
ფინანსური ვალდებულებები				
სალიზინგო ვალდებულებები	-	-	110,934	110,934
სხვა ვალდებულებები	-	-	26,559	26,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	137,493	137,493

23. ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, მისო ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს მისოსთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ მისოს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, მისო ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

მისოს ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს მისოს საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	777,382	403,673
გაცემული სესხები	2,675,067	2,893,940
სხვა ფინანსური აქტივები	1,250	7,994
სულ ფინანსური აქტივები	3,453,699	3,305,607
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	100,424	110,934
სხვა ვალდებულებები	86,664	26,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	187,088	137,493

საკრედიტო რისკი

მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობებიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებელზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

გაცემული სესხების გაუფასურების ხარისხის დასადგენად მისო იყენებს 3 ეტაპიან მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარების შემდგომ ხდება სესხების გაუფასურების შეფასება.

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ხდება პირველ კატეგორიაში და შემდგომ მუდმივად ხდება მასზე დაკვირვება და მონიტორინგი.
 - თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი/არსებითი ზრდა, მსგავსი სესხები გადადის მეორე კატეგორიაში, მაგრამ ავტომატურად არ იგულისხმება, რომ უფასურდება საკრედიტო რისკით.
 - თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, ავტომატურად ხდება მესამე კატეგორიაში.
 - პირველ კატეგორიაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება 12 თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილით ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში. მეორე და მესამე კატეგორიაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადებთან მიმართების საფუძველზე.
- ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს მისოს პოლიტიკას ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებაზე.

ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
თავდაპირველი აღიარება	თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა	საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები
12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სესხის გაუფასურების რეზერვის პროცენტები სესხის ტიპებისა და კატეგორიების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ, მისოს მიერ გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია, საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას არ გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნების ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ქვემოთ მოცემული მატრიცის მიხედვით:

სესხის ტიპი/კატეგორია	2024					
	კატეგორია 1	კატეგორია 2	კატეგორია 7	კატეგორია 8	კატეგორია 9	კატეგორია 10
უზრუნველყოფილი	6%	6%	6%	6%	6%	6%
არაუზრუნველყოფილი	7%	7%	7%	7%	7%	7%
1-30 ვადაგადაცილება	15%	37%	12%	17%	10%	10%
31-60 ვადაგადაცილება	27%	46%	13%	23%	11%	11%
61-90 ვადაგადაცილება	27%	50%	17%	27%	16%	13%
91-180 ვადაგადაცილება	29%	55%	21%	30%	16%	15%
180 და მეტი	100%	100%	100%	100%	100%	100%

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ვადაგადაცილება

სესხის ტიპი/კატეგორია	2023					
	კატეგორია 1	კატეგორია 2	კატეგორია 7	კატეგორია 8	კატეგორია 9	კატეგორია 10
უზრუნველყოფილი	4%	4%	4%	4%	4%	4%
არაუზრუნველყოფილი	5%	5%	5%	5%	5%	5%
1-30 ვადაგადაცილება	16%	35%	10%	17%	10%	10%
31-60 ვადაგადაცილება	31%	45%	11%	24%	11%	11%
61-90 ვადაგადაცილება	32%	50%	15%	28%	16%	13%
91-180 ვადაგადაცილება	32%	57%	20%	31%	16%	15%
180 და მეტი ვადაგადაცილება	100%	100%	100%	100%	100%	100%

ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადაც არ არის ვადაგადაცილებული და კლასიფიცირებული როგორც მიმდინარე, მიიჩნევა როგორც პირველ ეტაპში მყოფი. ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა გადაცილებულია 90 და მეტი დღით, მიჩნეულია როგორც მესამე ეტაპში მყოფი. ხოლო სხვა დანარჩენი სესხები კლასიფიცირებულია მეორე ეტაპში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ფასდება შემდეგ საფუძველზე ა) 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი - თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ბ) სასიცოხლო ციკლის განმავლობაში - თუ საკრედიტო რისკი ამ ფინანსურ ინსტრუმენტზე საგრძნობლად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის კოეფიციენტების გაანგარიშებისას, მისო ხელმძღვანელობს წარსული გამოცდილებით და სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური ფაქტორებით. უზრუნველყოფის განაკვეთები ყოველწლიურად განახლებადია საანგარიშო პერიოდში გაკეთებული გამოთვლების და დამატებით შეტანილი სტატისტიკის საფუძველზე.

მისო ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც ამოწურავს აღმდგენ ღონისძიებებს და ჩათვლის, რომ აღარ არსებობს აქტივის აღდგენის მოლოდინი. ფინანსური აქტივის აღდგენის მოლოდინი აღარ არსებობს თუ: ა) წყდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები; ბ) როდესაც მისოს აღდგენის მეთოდი არის უზრუნველყოფილი ქონების ამოღება და უზრუნველყოფილი ქონების ღირებულება არის ისეთი, რომ არ არის აქტივის სრული აღდგენის გონივრული მოლოდინი.

გასაცემი სესხის კატეგორიები განისაზღვრება სესხის დანიშნულების მიხედვით.
 გასაცემი სესხის კატეგორიები:

- კატეგორია 1 - ვაჭრობა და მომსახურება
- კატეგორია 2 - სამომხმარებლო
- კატეგორია 7 - უძრავი ქონების შექენა
- კატეგორია 8 - რეფინანსირება
- კატეგორია 9 - პირადი ხარჯები
- კატეგორია 10 - სხვა

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

- C1 1-30 დღიანი ვადაგადაცილება
- C2 31-60 დღიანი ვადაგადაცილება
- C3 61-90 დღიანი ვადაგადაცილება
- D1 91-180 დღიანი ვადაგადაცილება
- D2 >181

კატეგორიები დავალიანების არ არსებობის შემთხვევაში:

სს მისო „ჯი-აი-სი“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

A - უზრუნველყოფილი სესხები

B - არაუზრუნველყოფილი სესხები

დეფოლტის კატეგორიას წარმოადგენს D2.

მისო აღიარებს დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- გადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურისებულია >90 დღე
- კლიენტის გარდაცვალება;
- ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს

დეფოლტის დეფინიცია შესაბამისობაშია რეგულაციებთან 90 დღიანი გადაგადაცილების პრეზუმციასთან ფასს 9-ის გათვალისწინებით.

დაკვირვების ქვეშ მყოფი სესხები წარმოდგენილია D1 კატეგორიაში.

D1 და D2 კატეგორიები წარმოდგენილია ეტაპ 3-ში სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიის სესხის გადახდა ხდება დროულად, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში ასეთი იცვლის კატეგორიას და გადადის შესაბამის კატეგორიაში რომელიც დგინდება გადაგადაცილებული დღეებით.

მისო ახდენს პროგნოზთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებას, როგორც იმის შეფასებისას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ისე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას.

მისო ახდენს საკრედიტო რისკების და საკრედიტო დანაკარგების მთავარი მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, აფასებს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის დადგომის შემთხვევაში და მისი აღდგენის მაჩვენებელს, ასევე ქვემოთ მოყვანილი მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზს.

- სფი ინფლაცია
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
- რეალური მშპ
- უძრავი ქონების ფასის ინდექსი

სს მისო „ჯი-აი-სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემული ცხრილები მოიცავს ინფორმაციას მომხმარებელზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი	მიმდინარე	1-30 ვადაგადაცილება	31-60 ვადაგადაცილება	61-90 ვადაგადაცილება	91-180 ვადაგადაცილება	180 და მეტი ვადაგადაცილება
ფული და ფულის ექვივალენტები	777,382	-	-	-	-	-
გაცემული სესხები						
უზრუნველყოფილი სესხები:						
ეტაპი 1	1,661,618	-	-	-	-	-
ეტაპი 2	-	1,212,831	-	-	-	-
ეტაპი 3	-	-	-	-	62,861	177,491
სულ	2,439,000	1,212,831	-	-	62,861	177,491
სესხები უზრუნველყოფის გარეშე:						
ეტაპი 1	266,954	5,088	-	-	-	-
ეტაპი 2	-	-	-	-	-	-
ეტაპი 3	-	-	-	-	-	-
სულ	266,954	5,088	-	-	-	-

ქვემოთ მოცემული ცხრილები მოიცავს ინფორმაციას მომხმარებელზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023 წლის 31 დეკემბერი	მიმდინარე	1-30 ვადაგადაცილება	31-60 ვადაგადაცილება	61-90 ვადაგადაცილება	91-180 ვადაგადაცილება	180 და მეტი ვადაგადაცილება
ფული და ფულის ექვივალენტები	403,673	-	-	-	-	-
გაცემული სესხები						
უზრუნველყოფილი სესხები:						
ეტაპი 1	1,698,325	-	-	-	-	-
ეტაპი 2	-	1,252,623	206,611	68,119	-	-
ეტაპი 3	-	-	-	-	155,529	203,684
სულ	2,101,998	1,252,623	206,611	68,119	155,529	203,684
სესხები უზრუნველყოფის გარეშე:						
ეტაპი 1	155,624	4,734	-	-	-	-
ეტაპი 2	-	-	-	-	-	-
ეტაპი 3	-	-	-	-	-	7,056
სულ	155,624	4,734	-	-	-	7,056

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ მისოს-ს შეექმნება ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულეები. ეს ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. მისო მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი დაფარვის თარიღების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	777,382	-	-	-	777,382
გაცემული სესხები	-	345,089	152,147	2,177,831	2,675,067
სხვა აქტივები	1,250	-	-	-	1,250
სულ ფინანსური აქტივები	778,632	345,089	152,147	2,177,831	3,453,699
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	11,924	29,500	59,000	-	100,424
სხვა ვალდებულებები	86,664	-	-	-	86,664
სულ ფინანსური ვალდებულებები	98,588	29,500	59,000	-	187,088
ლიკვიდურობის პოზიცია	680,044	315,589	93,147	2,177,831	3,266,611
აკუმულირებული ლიკვიდურობის პოზიცია	680,044	995,633	1,088,780	3,266,611	

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	403,673	-	-	-	403,673
გაცემული სესხები	112,924	141,187	135,140	2,504,689	2,893,940
სხვა აქტივები	7,994	-	-	-	7,994
სულ ფინანსური აქტივები	524,591	141,187	135,140	2,504,689	3,305,607
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	10,510	44,957	44,957	10,510	110,934
სხვა ვალდებულებები	26,559	-	-	-	26,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	37,069	44,957	44,957	10,510	137,493
ლიკვიდურობის პოზიცია	487,522	96,230	90,183	2,494,179	3,168,114
აკუმულირებული ლიკვიდურობის პოზიცია	487,522	583,752	673,935	3,168,114	

საპროცენტო განაკვეთის რისკი

მისოზე ზემოქმედებას ახდენს, მის ფინანსურ პოზიციასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი.

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მისო ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთები.

	2024		2023	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნამდე დეპოზიტი	2%	0.5-1%	2%	0.5-1%
გაცემული სესხები	13%-34%	27%-28%	12%-34%	27%-28%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მისომ გადაწყვიტა ფულადი სახსრები განეთავსებინა მიმდინარე ანგარიშგებზე, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი და მისოს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს ფულადი სახსრები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს აქვს სადეპოზიტო ანგარიშები ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, რომლის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 387,538 ლარს. აღნიშნული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი არ არის მნიშვნელოვანი მისოსთვის.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, და გაცემული სესხები) და ვალდებულებები (გადასახდებელი) იწვევენ სავალუტო რისკს. მისოს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადაადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	გაცემული სესხები	სულ
ლარი	700,975	3,378,147	4,079,122
აშშ დოლარი	76,407	8,696	85,103
სულ	777,382	3,386,843	4,164,225

ფინანსური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	გაცემული სესხები	სულ
ლარი	340,892	3,735,482	4,076,374
აშშ დოლარი	62,781	16,823	79,604
სულ	403,673	3,752,305	4,155,978

შემდეგი ცხრილი ასახავს სენსიტიურობის ანალიზს მოგება ზარალისა და კაპიტალისთვის სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინებით ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში.

31 დეკემბერი 2024	
გავლენა მოგება-ზარალზე	
დოლარის გამყარება 10% - ით	17,021
დოლარის გაუფასურება 10% - ით	(17,021)

31 დეკემბერი 2023

გავლენა მოგება-ზარალზე

დოლარის გამყარება 10% - ით	15,921
დოლარის გაუფასურება 10% - ით	(15,921)

მისოს კაპიტალზე სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების გარდა სხვა ფაქტორები არ ახდენს გავლენას. გამოთვლები გაკეთებულია მხოლოდ უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე, რომელიც განსხვავდება მისი ფუნქციონალური ვალუტისგან. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტის რისკი.

24. კაპიტალის მართვა

მისოს მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მისო შეესაბამება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც მისოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა 500,000 ლარით, ხოლო 2019 წლის 30 ივნისის შემდგომ 1,000,000 ლარით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები კოეფიციენტებთან დაკავშირებით შემდეგია:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისო აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

31 დეკემბერი 2024

კოეფიციენტი	დაწესებული ზღვარი	წარდგენილი კოეფიციენტი
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	96%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	2,071%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 40%	8.66%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0.00%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისო აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

31 დეკემბერი 2023

კოეფიციენტი	დაწესებული ზღვარი	წარდგენილი კოეფიციენტი
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	97%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	2,678%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 40%	6.73%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0.00%

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
 - (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
 - (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავე ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

სს მისო „ჯი-აი-სი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ანასტასია თავხელიძე	33 %	33 %
ელისაბედ ამირეჯიბი	33 %	33 %
ალექსანდრე ამირეჯიბი	34 %	34 %
	100 %	100 %

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც განხორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024	2023
ტრანზაქციების მოცულობა სხვა დაკავშირებულ მხარეებთან		
საპროცენტო ხარჯი	13,490	14,739
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	8,694	8,694
პროცენტის შემოსავალი	11,890	-
საბალანსო ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლება	52,156	60,850
საიჯარო ვალდებულებები	100,424	110,934

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა რგოლის ანაზღაურება:

	2024	2023
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და დანამატები	68,800	68,800

27. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდების ოდენობამ 350,000 და 15,791 ლარი შეადგინა.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.



სს მისო „ჯი-აი-სი“-ს
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებათა ერთაღ

თბილისი
2025 წ

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე	1
შესავალი	2
კომპანიის შესახებ	2
ფილიალები	3
განხორციელებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების აღწერა.....	4
ფინანსური მაჩვენებლები.....	8
კომპანიის სამომავლო გეგმები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი-აი-სი“-ს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თალღითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2025 წლის 10 მარტი

არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუა

(Reg. # SARAS-A-577214)

RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99

Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი-აი-სი“-ს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2025 წლის 10 მარტი

არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუა

(Reg. # SARAS-A-577214)

RSM Georgia


შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორებიცაა კომპანიის წარმოშობის ისტორიის, კომპანიის საქმიანობის, მისი განვლილი მიღწევებისა და მომავალში დასახული მიზნების აღწერა. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ბოლო სამი (2022-2024) წლის დინამიკა.

კომპანიის შესახებ

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „ჯი-აი-სი“ (მისო) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2009 წლის 2 ოქტომბრიდან.

სს მისო „ჯი-აი-სი“ შეიქმნა სს „პირველი ბრიტანული კომპანიიდან“ გამოყოფის შედეგად. მისო-ს კაპიტალი განისაზღვრა 2,465,100 ლარის ღირებულების 24,651 ცალი ჩვეულებრივი აქციით. 2015 წელს მოხდა დამატებით 320 აქციის ემისია 32,000 ლარის ნომინალური ღირებულებით, რამაც ჯამში შეადგინა 24,971 აქცია ნომინალური ღირებულებით 2,497,100 ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ აქციონერებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ანასტასია თავხელიძე - 33%;
- ელისაბედ ამირეჯიბი - 33%;
- ალექსანდრე ამირეჯიბი - 34%.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

- ნონა თორდია (თავმჯდომარე);
- პანტიკო თორდია (თავმჯდომარის მოადგილე);
- შალვა ამირეჯიბი(წევრი).

მისო-ში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული არის 12 თანამშრომელი.

მისო-ს სარეგისტრაციო მისამართია : საქართველო,თბილისი, ფალიაშვილის ქ. №96.

კომპანიის მიერ არ მომხდარა აქციების შექმნა ან გასხვისება.

ფილიალები

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. საფინანსო ბაზრისა და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგადად კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ახლო მომავალში ფილიალების გახსნა კომპანიისთვის იქნება არარენტაბილური.

განხორციელებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე მენეჯმენტის მიერ არ ხდება კვლევების განხორციელება.

კომპანია იყენებს განვითარების გეგმებისა და მიმდინარე შედეგების ანალიზისათვის დაფუძნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე.

საქმიანობის მიმოხილვა


სს მისო „ჯი-აი-სი“ წარმოადგენს კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირს რომელიც საკუთარ საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად. სს მისო „ჯი-აი-სი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დაშვებული საქმიანობებიდან ახორციელებს მხოლოდ შემდეგი სახის ოპერაციებს:

1. სესხების გაცემა
2. სესხების მიღება
3. უცხოური ვალუტის ყიდვა უნაღდო ანგარიშსწორებით (მხოლოდ კომპანიის კლიენტებზე)

საქართველოს კანონმდებლობისა და მისო-ს საქმიანობიდან გამომდინარე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2020 წლის 20 აპრილს დამტკიცებულ იქნა სს „ჯი-აი-სი“-ს განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საშუალებას იძლევა ეფექტურად მართოს მისი საქმიანობა. გარდა იმ სტრუქტურული ქვედანაყოფებისა, რომელიც ილუსტრირებულია ქვემოთ, მისო-ში ასევე ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საკრედიტო კომიტეტი, რომლის დანიშნულებას თითოეული სასესხო განაცხადის ანალიზი და მისი გასაცემად დამტკიცება. ქვემოთ მოყვანილია სს „ჯი-აი-სი“-ს ორგანიზაციული სტრუქტურა:

სს „ჯი-აი-სი“
ორგანიზაციული სტრუქტურა

დატვირთულია
სამეთვალყურეო სამუშაო მიერ
2022 წლის 20 აპრილს



წინამდებარე დოკუმენტში ძირითადად აღწერილია მხოლოდ ჩამოთვლილი საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური მაჩვენებლები, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და კომპანიის მომავალი გეგმების ხედვა.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების აღწერა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „ჯი-აი-სი“ განიხილავს რისკების ორ ძირითად კატეგორიას ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს. თითოეული კატეგორია ცალკეული რისკებისაგან შედგება. ფინანსურ რისკებს ძირითადად არეგულირებს კრედიტებისა და მოზიდული სახსრების მართვის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასესხო პორტფელის მართვას;
- მოზიდული სახსრების მართვას; ამასთან უნდა აღინიშნოს აღინიშნოს, რომ 2023 წელს კომპანიას არ მოუზიდა ფინანსური სახსრები.
- ლიკვიდობის მართვას;
- სასესხო და მოზიდული სახსრების საპროცენტო განაკვეთების მართვას;

- ღია პოზიციების მართვას.
- ცალკე უნდა გამოიყოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციათან (AML) დაკავშირებული რისკები, რომელსაც მთელი მსოფლიოს ფინანსური ინსტიტუტების და საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან უდიდესი ყურადღება ექცევა. მისი „ჯი-აი-სი“ ამ მიმართულებით ასრულებს პრევენციულ სამუშაოებს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული რისკების მართვას ახორციელებს მონიტორინგის სამსახური.
- **ფინანსური რისკებიდან გამოიყოფა:**

1. საკრედიტო რისკები

2024 წელს აქტიური ოპერაციების მთლიანი წილი საკრედიტო საქმიანობაზე მოდის. აქედან გამომდინარე საკრედიტო რისკის მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

საკრედიტო რისკის გაზრდა შეიძლება გამოწვეულ იქნას:

- კრედიტის არაკვალიფიციური გაცემით;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შემცირებით ან დეფოლტით;
- ქვეყანაში არსებული შესაძლო ინფლაციის გაზრდით;
- სხვა მაკროეკონომიური ფაქტორებით.

აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით კომპანიაში შემუშავებულია სპეციალური წესები კრედიტის გაცემის, მისი მონიტორინგისა და ამოღების კუთხით. დამუშავებულია და დანერგილია სესხების გაცემის განახლებული პოლიტიკა. სესხების ამოღებისას დიდი ყურადღება ექცევა ვადაგადაცილებული და უიმედო სესხების ამოღების ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულია კომპანიის მიერ შემუშავებულ ეთიკის კოდექსში. ასევე 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ ასევე დანერგა ფასს 9, რითაც სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები. კერძოდ:

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

2. კაპიტალის არასაკმარისობასთან დაკავშირებული რისკი.

ეს რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც მისო-ს ბალანსს აქვს არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა. სხვანაირად, კაპიტალი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მცირდება ისეთი გარემოებების გამო, როგორცაა:

- ნასესხები სახსრების გადინება (იწვევს საპროცენტო მარჟასთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავლების შემცირებას);
- იზრდება დაუბრუნებელი სესხების მოცულობა;
- მენეჯმენტის სხვადასხვა არაეფექტური გადაწყვეტილებები.

ამ რისკების მინიმიზაცია ხორციელდება, სამეთვალყურეო საბჭოსა და კრედიტებისა და მოზიდული სახსრების მართვის დეპარტამენტის მიერ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული 2024 წელს კომპანიას არ გააჩნდა მოზიდული სახსრები. ასევე შემცირებულია დაუბრუნებელი სესხების მოცულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე 2024 წელს კომპანიას კაპიტალის არასაკმარისობასთან დაკავშირებული რისკი პრაქტიკულად ტოლი იყო ნულის.

3. ლიკვიდობის რისკი.

ამ რისკების მართვა კომპანიაში ხორციელდება ისეთი მაჩვენებლების ანალიზითა და მონიტორინგით, როგორცაა მისო-ს წმინდა საპროცენტო შემოსავალი, წმინდა საპროცენტო მარჟა და სპრედი. ეს ანალიზი დაფუძნებულია ბალანსის სტრუქტურაზე და ასევე ფინანსური ინსტიტუტების (ბანკები, მისო-ები) საკრედიტო ბაზარზე არსებულ მაჩვენებლებზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2024 წელს კომპანიას არ ერიცხებოდა მოზიდული სახსრები. შესაბამისად, ლიკვიდობასთან დაკავშირებული რისკი უტოლდება ნულს.

4. საბაზრო რისკი.

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც, სამომავლო ფულადი ნაკადების ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება მერყეობს საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა რისკებს. კომპანიისთვის საბაზრო რისკი დგება საპროცენტო განაკვეთიდან

გამომდინარე, რომლებიც თავს იჩენს როგორც ზოგად ასევე სპეციფიურ საბაზრო პირობებში და იცვლება უცხოური ვალუტის განაკვეთის დონის შესაბამისად.

5. საპროცენტო განაკვეთის რისკი

მისოს საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

6. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი შესაძლებელია წარმოიშვას არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ ფული განთავსებულია სხვადასხვა ვალუტაში, არამედ განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მისო-ს აქვს ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხორციელდება მხოლოდ უნაღლო ანგარიშსწორებით და ისიც მარტო კომპანიის კლიენტებზე. უნაღლო კონვერტაციები კომპანიაში მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებს(კონვერტაცია ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ანუ საბალანსო კურსით) კლიენტზე ლარიზაციის პროგრამამდე გაცემული სავალუტო სესხების დაფარვის მიზნით.

არაფინანსური რისკები

1. **საოპერაციო რისკი** ის ძირითადი არაფინანსური რისკია, რომელიც გულისხმობს იმ ალბათობას, რომ დანაკარგებს გამოიწვევს ან შინაგანი (არაადექვატური ან შეცდომითი შიდა პროცესები, მართვის ინფორმაციის სისტემები, ადამიანური ფაქტორი) ან გარეგანი მიზეზები. საოპერაციო რისკის განსაზღვრება ასევე მოიცავს საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებულ რისკს, რაშიც იგულისხმება ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფოს, საზედამხედველო ან იურიდიული უწყებების მიერ ჯარიმების დაკისრება დანაკარგებს გამოიწვევს. არაფინანსური რისკებისგან დაცვის მიზნით მისო-ში სისტემატურად ხორციელდება შიდა კონტროლი მიმდინარე პროცესებზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის დაცულობას,

ინფორმაციის სისტემების განახლებას, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად.

2. AML - თან დაკავშირებული რისკები

უნდა აღინიშნოს, რომ მისო „ჯი-აი-სი-ში“ ხორციელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისათვის დაშვებული ოპერაციების/გარიგებების მხოლოდ შემდეგი ქვესიმრავლე:

- სესხების გაცემა;
- სესხების მიღება;
- ფულის უნაღდო კონვერტაცია.

ამასთან, აღნიშნული ოპერაცია/გარიგებები სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციით და დირექტორატის გადაწყვეტილებით ხორციელდება მხოლოდ რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ამასთან, იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეებიც უნდა იყვნენ რეზიდენტები. აქედან გამომდინარე, AML კუთხით გეოგრაფიული რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. ასევე, შემცირებულია რისკი დაკავშირებული რისკთან პროდუქტებთან, რადგანაც, „ჯი-აი-სი“ არ ახორციელებს და არც მომავალში აპირებს სწრაფი ფულადი გზავნილების ოპერაციების წარმართვას. რაც შეეხება კლიენტთან დაკავშირებულ რისკს, მათი იდენტიფიკაცია და გადამოწმება ტერორისტულ, სანქცირებულ და პოლიტიკურად აქტიურ პირების სიასთან ხორციელდება ავტომატიზებული გზით სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით.

სს „ჯი-აი-სი“ მომავალშიც აპირებს ამ საკითხების კიდევ უფრო სრულყოფას ეროვნული ბანკისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად.


ფინანსური მაჩვენებლები

დოკუმენტში წარმოგიდგენთ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ მისო-ს ფუნქციონირების მთელი ისტორიის მანძილზე უზრუნველყოფილი სესხები წარადგენდნენ სასესხო პორტელის უდიდეს ნაწილს. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია 2024 წელში სასესხო პორტფელის უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) სესხების წილობრივი მაჩვენებლების ამსახველი დიაგრამა (იხ. ცხრილი №1). როგორც


დიაგრამიდან ჩანს, არაუზრუნველყოფილი სესხები წარმოადგენს მთლიანი სასესხო პორტფელის (3,386,843 ლარი) 8%-ს და მოცულობით ის ტოლია 272,043, ხოლო უზრუნველყოფილი სესხები შესაბამისად ტოლი იქნება 92% მოცულობით 3,114,800 ლარი.

ცხრილი N 1.



გაცემული სესხების ხარისხის შესაფასებლად ქვემოთ მოცემულია წმინდა სასესხო პორტფელის(სესხები მინუს სასესხო რეზერვები) 2023-2024 წლების მდგომარეობით.

ცხრილი N2




ცხრილი N3



2024 წელს კომპანიის მოგება საკმაოდ გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, რაც მანიშნებელია სასესხო პორტფელის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების. წმინდა მოგების დინამიკა 2024-2022 წლებში მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი N4



მოყვანილი ფინანსური მაჩვენებლების სწორად ანალიზისათვის ქვემოთ ნაჩვენებია წლების მიხედვით სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები:

- 2022 წ. -21.99 %
- 2023 წ. – 21.7%
- 2024 წ. – 21.76

კომპანიის სამომავლო გეგმები

ქვეყანაში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე მენეჯმენტი აქცენტს აკეთებს კომპანიის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებაზე და მის უფრო გაძლიერებაზე. ამ ამოცანის გადასაჭრელად მენეჯმენტს გადაწყვეტილი აქვს:

- შეამციროს სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი. ეს შესაძლებელი იქნება სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდის შემთხვევაში;
- გააუმჯობესოს სასესხო პორტფელის ხარისხი, რაც შეამცირებს სესხების დანაკარგების რეზერვს და შესაბამისად გაზრდის წმინდა მოგებას; აღნიშნულის მისაღწევად კომპანია აპირებს უფრო სკურპულოზულად შეაფასოს გასაცემი სესხის მსესხებლის როგორც მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ასევე პერსპექტივაში მისი ფინანსური მდგომარეობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს გამოიკვლიოს მსესხებლის შემოსავლის სტაბილურობის დონე.
- გააუმჯობესოს კლიენტურის მომსახურების დონე. იგულისხმება მასთან უფრო ხშირი კონტაქტი ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით. ეს მიიღწევა, როგორც სატელეფონო საუბრების ასევე რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული შეტყობინებების სახით.
- მსოფლიოში უკრაინაში ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირებამ ნეგატიურად იმოქმედა საფინანსო სექტორზე. ამდენად რთულია რაიმე რეალური პროგნოზის გაკეთება 2025 წლის ფინანსური შედეგების შესახებ. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკის ისეთი ძირითადი სექტორების განვითარებაზე, როგორცაა ვაჭრობა, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია.

დირექტორი

ვახტანგ მალრაძე

მთავარი ბუღალტერი

ციური თურმანიძე

კომპანიის სამომავლო გეგმები

ქვეყანაში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე მენეჯმენტი აქცენტს აკეთებს კომპანიის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებაზე და მის უფრო გაძლიერებაზე. ამ ამოცანის გადასაჭრელად მენეჯმენტს გადაწყვეტილი აქვს:

- შეამციროს სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი. ეს შესაძლებელი იქნება სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდის შემთხვევაში;
- გააუმჯობესოს სასესხო პორტფელის ხარისხი, რაც შეამცირებებს სესხების დანაკარგების რეზერვს და შესაბამისად გაზრდის წმინდა მოგებას; აღნიშნულის მისაღწევად კომპანია აპირებს უფრო სკურპულოზულად შეაფასოს გასაცემი სესხის მსესხებლის როგორც მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ასევე პერსპექტივაში მისი ფინანსური მდგომარეობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს გამოიკვლიოს მსესხებლის შემოსავლის სტაბილურობის დონე.
- გააუმჯობესოს კლიენტურის მომსახურების დონე. იგულისხმება მასთან უფრო ხშირი კონტაქტი ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით. ეს მიიღწევა, როგორც სატელეფონო საუბრების ასევე რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული შეტყობინებების სახით.
- მსოფლიოში უკრაინაში ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირებამ ნეგატიურად იმოქმედა საფინანსო სექტორზეც. ამდენად რთულია რაიმე რეალური პროგნოზის გაკეთება 2025 წლის ფინანსური შედეგების შესახებ. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკის ისეთი ძირითადი სექტორების განვითარებაზე, როგორცაა ვაჭრობა, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია.

დირექტორი



ვაბტანგ მარდაძე

მთავარი ბუღალტერი



გიორგი თურმანიძე

